ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 212
1877

ივერია

№ 212
1093

ოკტომბერი 5 ,კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკტომბერი 5, კვირა 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჯღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** ავარელით (ფერადებით) **საუცხოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.**

ჟირარდის მანუფაქტურების საქ. საზ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის

ყოველ დღე მოგვდის დიდ ალი საქონელი:

მებელის მატერია.

ფარდებისა და ფარდების არშიები.

ტიულის ფარდები.

ხალიჩები საზღვარ-გარეთისა და მოსკოვისა.

იატაკის საფენი.

საფიანდაზო.

სელოფნური ტყავი „Pantasote“.

ლინოლეუმი აქც. საზ. ვიკანდერისა და ლარსონისა ლიბავაში.

დონნერი და ლეიტცი.

წარმოდგენა № 7. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

შაბათს, 4 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

პატარა კახი

დრამა 5 მოქმ. აკაკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქქ-ნნი ნ. გამრეკელისა, ნ. დავითაშვილი, ნ. ყიფიანისა, ნებიერიძისა, ა. რონდელი, ნ. ჯავახიშვილი.

ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. ბედევანოვი, ვ. გამრეკელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, დ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, შალიკაშვილი, იორდანაშვილი, ციმაკურიძე.

ადგილების ფასი პარტერში დაკლებულია, გალდერეაში ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: «ორი ობოლი».

რეჟისორი **აკაკი.**

თავმჯდომარე ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზე არსებულ ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს ტფილისის განყოფილების რჩევისა, თავ. ნ. ვ. არღუთაშვილი-მხარგრძელი უმორჩილესად სთხოვს სამზრუნველოს წევრთ მობრძანდნენ კვირას, 5 ოკდომბერს, 1903 წ., 12 საათზე, ტფილისის ყრუ-მუნჯთა სკოლასთან დაარსებულ თავშესაფარის კურთხევაზე (რიყის ქუჩა, გაბაშვილის სახლი, № 6) და დაესწრნენ ყრუ-მუნჯთა ბავშვების ეგზამენს.

(3—უ—3)

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსთა ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 5 ოკდომბერს 1903 წელს

წარმოდგენილი იქნება

ციხე ზა ცარია

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გლინკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: კარტავინა, კალინინა; ბ-ნნი ფედოროვი, კლიუზნერი, გრინიოვი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ზოზენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი: ხვალ, 6 ოკდომბერს, იაფ-ფასიანი წარმოდგენაა. წარმოდგენილი იქნება «რუსალკა», ოპერა 4 მოქმ. აპოთეოზით, მუსიკა დარგომიჟსკისა.

ბილეთები იყიდება.

ქუთაისის საქალებო პროგიმნაზიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ სწავლა პროგიმნაზიაში დაიწყება 2 ოქტომბრიდან 1903 წლისა.

პროგიმნაზია არის მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლში.

ხაფიცი ვექილი

გ. ი. გძელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩიდან ველიკოკნიაჟესკაია ქუჩაზე, როტინოვის სახლში, № 10, (გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით). მთხოვნელებს მიიღებს ჩვეულებრივ ყოველ დღე შაბათს გარდა საღამოობით 7-დგან 9 საათამდე.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით. 162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. მ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7$\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8$\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ექიმი
ზ. ა. პაპოვი

სწამლობს განსაკუთრებით ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით. კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჩალის ქუჩის კუთხეში.

(10—1)

ტფილისი

⁂ ქელიშის (რაჭაშია) მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) გადაუყვანიათ დონის ეპარქიაში უსტ-მედვედის სტანიცის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

⁂ დღეს ქართულ დრამატიულ დასის არტისტები სათავად-აზნაურო თეატრში წარმოადგენენ აკაკის დრამა პოემას „პატარა კახს“; თუმცა მოთამაშენი მომეტებულ ნაწილად გამოუცდელნი არიან, მაგრამ ავტორი-რეჟისორი, უეჭველია, ხელოვნურად მოაწყობს თავის პიესის წარმოდგენას.

⁂ ამას წინად „ივერიაში“ ფელეტონად დაბეჭდილი წერილი „ბედკრულთა მეგობარი“ (ექიმი გააზი) ეხლა ცალკე წიგნად გამოვიდა და იყიდება „ეკონომიად“ წოდებულ წიგნთსავაჭროში (კიროჩნი ქუჩა № 7, ვერის ხიდის მახლობლად). ფასი 5 კ.

⁂ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი რუსულ ენაზედ „ქართველ პოეტის შოთა რუსთაველის რჩეული აზრები“. ეს აზრები შოთა რუსთაველისა-კი არა, თვით მთარგმნელისაა; იბეჭდებოდა „ტფილისის ფურცელში“. შოთას ფილოსოფიური აზრები ისე დამახინჯებულია, რომ ვერც-კი იცნობს კაცი. ფასი წიგნისა შაურია.

⁂ ბორის სპ. ესაძეს განუზრახავს გამოსცეს რუსულ ენაზე მისგან შედგენილი კრებული სარწმუნოებრივ-ისტორიული ხასიათისა, რომელსაც სახელად ერქმევა „წმიდა ნინოს ქვეყანა“.

კრებულში მოთავსებული იქნება, სხვათა შორის, შემდეგი წერილები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან: 1) მიმოხილვა კერპთ-თაყვანისმცემლობისა საქართველოში, ნ. გამრეკელისა, 2) მოკლე აღწერა ქართველთა სარწმუნოებრივის მდგომარეობისა ძ სხ. ბარათაშვილისა 3) ქრისტეანობის დასაწყისი საქართველოში და წმ. ნინო, მისივე, 4) წმ. ნინოს ვაზის ჯვარის ისტორია, ფურცელაძისა, 5) ფიქრები საქართველოს ძველი ეკლესიების გამო, რ. ერისთავისა 6) მდგომარეობა ძველი ეკლესიების ნანგრევებისა, ***-სა, 7) ხატობა გ. წერეთლისა, 8) ლექსები და პოემები, წმ. ნინოსთვის დაწერილნი, 9) ისტორიულნი აღწერილობანი ქართულ უძველეს მონასტრებისა, და 10) ცხოვრება საქართველოს ჯვარ-შემოსილის ეკლესიის წმ. მამათა.

ამ წერილებს გარდა კრებულში დაიბეჭდება გამოკვლევანი პ. იოსელიანისა, დ. ბაქრაძისა, ბერძენოვისა, დ. ყიფიანისა, ალ. ცაგარლისა, საბინინისა, ეპისკოპოსის კირიონისა, ა. ხახანაშვილისა და სხვ.

მთელი გამოცემა დასურათებული იქნება ძველის ეკლესიების, ფრესკების, ეკლესიების განძეულობის და სხვ. ნახატებით; კრებულს დაერთვის აგრეთვე ბატონიშვილის ვახუშტის მიერ შედგენილი რუქა, რომელზედაც აღნიშნული იქნება მონასტრების მდებარეობა და საზღვრები სამიტროპოლიტოებისა.

მთელ გამოცემას შემადგენელი უძღვნის დიდს მთავრინას ნინო გიორგის ასულს.

კრებული გამოვა ნაწილ-ნაწილ, სულ ერვა ნაწილად. თითოეული ნაწილი ეღირება 3 მანათად.

მთელი წმიდა შემოსავალი ბ. ს. ესაძისგან გადადებულ იქნება ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლების შენობების სასარგებლოთ.

⁂ რადგანაც ქალაქის გამგეობის წევრი მ. შესტაკოვი ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად გამწესდა, მის ადგილზედ ქალაქის საბჭომ ახალი წევრი უნდა აირჩიოს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ივანოვსკი 7 ოკდომბერს პეტერბურგს მიდის სამსახურის საქმეთა გამო.

⁂ იმავე უფროსს უბრძანებია თავის ხელქვეით მოხელეთათვის, აღარავინ გაბედოთ ამის შემდეგ დეპეშების გამოქვეყნება რკინის გზის შესახებო; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამნაშავე სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნებაო.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის მოხელე სტანკევიჩი, რომელსაც რუსეთიდგან გადმოსახლებულთა მოწყობის საქმეები აბარია, წასულა ნოვოპავლოვსკში (ტფილისის მაზრა), სადაც გადმოსახლებულთა გამგებლობის განყოფილება უნდა დაწესდეს.

⁂ გზათა მინისტრს ნება მიუცია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მცირე სადგურებიდგან, სხვათა შორის, სვირსა, წიფასა, სკრასა და ნავთლუღიდგან საქონელი იგზავნებოდეს სხვა-და-სხვა ადგილს, და აგრეთვე მიიღონ მოსული საქონელიც.

⁂ შემდგარა ახალი ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს ამიერ კავკასიაში გააშენოს საუკეთესო ჯიშის ცხვარი (მერინოსი-ცხვარი). ამისათვის ამხანაგობას შეუძენია განჯის გუბერნიაში 6,000 დესეტინა იალაღი და ეხლა მრავალი ცხვარი იგზავნება იქითკენ რუსეთის სამხრეთ გუბერნიებიდან. გუშინ-წინ ცხვრის ფარებს მიერეკებოდნენ მახათის გორაკზე ნავთლუღის სადგურისაკენ.

⁂ ქუთაისის ოლქის სასამართლოს

გაურჩევია საქმე თავად--ზნაურთა დეპუტატად ნამყოფის კ. დ. მაჭავარიანისა, რომელსაც ყალბის ქაღალდების შედგენა ჰბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო კ. მაჭავარიანი და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადუწყვიტა ერთის წლით; ამასთანავე ღირსებაც უნდა აეყაროს.

გუშინ ქალაქის საბჭოს კომისია შეუდგა ავჭალის ქუჩაზე გაყვანილ რკინის გზის ქონების დათვალიერებასა და დაფასებას იმის გამოსარკვევად, ღირს თუ არა ამ გზის გამოსყიდვა.

ტფილისის მესამე კლასიკური გიმნაზია აპირებს სხვა შენობაში გადავიდეს, რადგან ეხლა ძალიან ვიწროდ არის. გიმნაზიის დირექტორს ამ საგნის შესახებ შუამდგომლობა კიდეც აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე.

დღეს, 5 ოკდომბერს, წირვის შემდეგ, 12 საათზე, დანიშნულია კრება მთაწმინდის მამადავითის ეკკლესიის მრევლისა, რომელმაც სამრევლო სამზრუნველო უნდა დააწესოს და ახალი მნათე ამოირჩიოს. კრება მოხდება მთაწმინდის სამრევლო სკოლის შენობაში (მთაწმინდის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 24).

ტფილისის ქუჩების ელექტრონით განათების საქმე კვლავად ბრკოლდება და გვიანდება. „ჰელიოსის“ ფირმის წარმომადგენელი ამ ცოტა ხანში უნდა შესდგომოდა საელექტრონო სადგურის გამართვას ქალაქის მამულზედ, მაგრამ შესაფერი ადგილი ჯერ ვერ გამოუძებნიათ. ეს ადგილი მტკვრის პირას, სადაც ჰფიქრობდნენ სადგურის გამართვას, იჯარით ჰქონია ქალაქს გაცემული და ზედ წისქვილები არის. სხვა შესაფერი ადგილი-კი ქალაქს არა ჰქონია. ნეტა რის იმედით ჰპირდებოდა ქალაქის სამმართველო „ჰელიოსის“ ფირმას, ქალაქის ადგილს დაგითმობთო.

ქალაქის მეექვსე ნაწილის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის მეთვალყურემ მოახსენება მიართვა ქალაქის გამგეობას, ცნობილ მექარხნის გ. გ. ადელხანოვის მამულს 3,456 მან. 6 კ. გარდასახადი მართებს და, რამდენჯერაც ვსთხოვთ, სულ უარს გვეუბნებაო; ბოლოს სრულიად დაგვითხოვა, აღარ დამენახოთო. ამისათვის მეთვალყურე სთხოვს გამგეობას, მიიღოს რამე ღონისძიება ხსენებულ ფულის გადასახდევინებლად.

მთავარმართებლის ბრძანებით, შეიცვალა წესი თხოვნების მიღებისა იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც სურთ სახელმწიფო ხარჯზე აღზარდონ შვილები კავკავისა და შიდა რუსეთის კადეტთა კორპუსებში. იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც მსახურებენ ან მსახურებდნენ, სამხედრო ანუ სამოქალაქო უწყებაში, უნდა გამოგზავნონ თხოვნები საოლქო შტაბში მთავარმართებლის სახელობაზე. იმ თავად-აზნაურთ-კი, რომელნიც არა მსახურებენ და არც მსახურებდნენ, უნდა თხოვნები გადასცენ ადგილობრივ გუბერნატორებს უსათუოდ 1 სეკდემბრიდან 1) თებერვლამდე. სხვა დროს მიღებულ თხოვნებს უყურადღებოდ დასტოვებენ. ამ თავად-აზნაურთ თხოვნებთან შემდეგი ქაღალდებიც უნდა გაუგზავნონ: 1 დაბადებისა და მონათვლის მოწმობა; 2) დეპუტატთა საკრებულოს მოწმობა: 3) პოლიციის მოწმობა მთხოვნელის საოჯახო და ქონებრივ მდგომარეობის შესახებ. ამ მოწმობაში დაწვრილებით აღნიშნული უნდა იყოს, რამდენი წევრი ჰყავს ოჯახს, ვინ ინახავს, სად სწავლობენ ბავშვები და სხვა; 4) ექიმის მოწმობა ჯანმრთელობისა და ყვავილის აცრის შესახებ; 5) ხელწერილი მთხოვნელისა იმის შესახებ, რომ ბავშვს წაიყვანს უკანვე კორპუსიდან, თუ სასწავლებლის მთავრობამ მოითხოვა. მთხოვნელმა უნდა აცნობოს აგრეთვე, სად სწავლობდა ბავშვი და რომელ კლასში უნდა მიიღონ. ამასთან მოსამზადებელ კლასში იღებენ მხოლოდ იმათ, ვინც რუსული წერა-კითხვა და უსაჭიროესი ლოცვები იცის.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა არ დაამტკიცა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩეული თ-დი კონსტანტინე ერისთავი. მთავარმართებლის დადგენილების გამო თ-დ ერისთავმა საჩივარი აღძრა სენატის წინაშე. როგორც სენატმა განმარტა, თავად-აზნაურთა წინამძღოლის და იმის კანდიდატის არჩევნები უსათუოდ ერთსა და იმავე კრებაზე უნდა მოხდეს. ამას გარდა, თვითოეულ თანამდებობაზე უსათუოდ ორ-ორი კაცი უნდა აარჩიონ და წარუდგინონ მთავრობას. ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობამ-კი მხოლოდ თ-დი ერისთავი აირჩია და წარადგინა დასამტკიცებლად.

სიზრანის ასფალტის ამხანაგობამაც მოისურვა ქალაქის ქუჩების მოკირწყლვა. ამ ამხანაგობის წარმომადგენელმა განუცხადა ქუჩების მომკირწყლველ კომისიას, თითო ოთხ-კუთხ საჟენს 32 მან. მოვკირწყლავთ ასფალტითაო. ხელშეკრულობის დადებამდე წარმომადგენელმა სთხოვა, ნება მომეცით სანიმუშოდ რომელიმე ადგილი მოვკირწყლოვო. კომისიამ ნება დართო საცდელად ასფალტით მოკირწყლოს ქუჩა ლონდონის სასტუმროს წინ, ალექსანდრეს ბაღამდე. მოკირწყლულ ქუჩის გამოსაცდელად დაინიშნოს ვადა 6 წელიწადი. მოკირწყლვისათვის მისაცემ ფულიდან ქალაქის გამგეობა დაიტოვებს $20^0/_0$-ს, ხოლო $80^0/_0$-ს გაისტუმრებს ერთის წლის შემდეგ ასფალტით მოკირწყლულ ქუჩაზე მოძრაობის დაწყების დღიდან, უკეთუ ასფალტი მკვიდრი იქნება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა, ხაშურსა და ყვირილას შორის მეორე ლიანდაგი გამართოს. სულ ამ საქმეს დასჭირდება 6.280,000 მანეთი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს ტფილისის, ფოთისა და ნავთლუღის სადგურების შეკეთება და გადიდება. საქმის დასაწყებად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა უმაღლესს მთავრობას სთხოვს ფოთის სადგურისათვის 150,000 მ., ნავთლუღისათვის —150,000 მ., ტფილისისათვის—750,000 მ. ტფილისში, სხვათა შორის, ჰფიქრობენ სახელოსნოების გადიდებასაც.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ფელეტონში მეორე გვერდზე, მეხუთე სვეტში (ზემოდან, მე-22 სტრიქონიდან) შეცდომით დაბეჭდილია: „.. მაგრამ შემდეგ გამოჩნდნენ ორიგინალური კომედიის მწერალნი“... აქ ფრაზაა გამოტოვებული; უნდა იყოს: „მაგრამ შემდეგ გამოჩნდნენ ორიგინალურის „მელოდრამისა და მუსიკალურ“ კომედიის მწერალნი (musical comedy...“) და სხვ...

რაჭის სამღვდელოება ჭელიშის მონასტერში.

თხუთმეტი სეკდემბერი ჭელიშის მონასტრისათვის ბედნიერი დღე იყო. ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის წინადადებით ამ დღეს ჭელიშის მანასტერში შეიკრიბენ რაჭის სამღვდელოების წარმომადგენელნი. კრების წინ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც სისტემატიურად აუხსნა დამსწრე სამღვდელოებას აწინდელი მისი უფერული მდგომარეობა და უჩვენა სალსარი ამ მდგომარეობის გაუმჯობესობისა.

ყველასათვის ცხადია, ბრძანა მღვდელმთავარმა, თუ როგორ დაეცა ხალხში ქრისტეს სარწმუნოება და დაქვეითდა ჩვენი სადვთისმეტყველო ლიტერატურა. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ვართ ისევ ჩვენ, ვინაიდგან გულგრილათ ვუყურებთ ხალხის განათლების საქმეს და მით ჩამოვრჩენივართ უკან რუსეთის სამღვდელოებას, რომელმაც იაფ-ფასიანი ქრისტიანულ ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების გამოცემით და უსასყიდლოდ ხალხში გავრცელებით განამტკიცა რუსის გულში ქრისტეს სარწმუნოება, — ხოლო ამავე სამღვდელოების საუკეთესო წარმომადგენლებმა დაუღალავის შრომით აღაყვავეს საშობლო ენაზე სამღვთის-მეტყველო ლიტერატურა. ჩვენი ქართველი სამღვდელოება, რომელსაც ბედმა არგუნა რუსეთის სამღვდელოებასთან ერთად მხარდამხარ მოქმედება და განვითარება, ვალდებულია მიბაძოს მის მაგალითს და იმავე გზით და საშუალებით ეცადოს განანათლოს სამწყსო, აღუნთოს გულში ნამდვილი ლამპარი ქრისტეს სწავლა-მეცნიერებისა და მით პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება და მოვალეობა. ამ აზრის განსახორციელებლად საჭიროა დაახლოვებით გავიცნოთ რუსული სასულიერო ლიტერატურა, გავხსნათ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები ჩვენისვე ხარჯით, ვბეჭდოთ პატარა წიგნაკებათ ცხოვრება წმიდა მამათა და მოწამეთა ხალხში გასავრცელებლად, — ხოლო ეკკლესიის კათედრიდგან წარმოთქმულ ცხოველ სიტყვით თვალ-საჩინოდ დავანახოთ ხალხს მისი ღირსება და ნაკლულევანებაო.

მღვდელმთავრის წინადადებას დიდის თანაგრძნობით მიეგება რაჭის სამღვდელოება და დაადგინა გახსნას ერთი წიგნთსაცავ-სამკითხველო საშუალო ადგილას, რომლის სისრულეში მოსაყვანად უნდა გაიღოს კრებულმა თითო თუმანი ე. ი. მთელის რაჭის სამღვდელოებამ არა ნაკლებ რვაასის მანეთისა წელიწადში. ხოლო ქადაგების საქმის გასაუმჯობესებლად არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც წინდაწინვე უნდა მიაწოდოს სამღვდელოებას ის თემები, რაზედაც უნდა წარმოსთქვას სიტყვა. ხელნაწერი სიტყვები უნდა დაუბრუნდეს კომისიას, რომლის შემოწმების შემდეგ წარმოითქმებიან თვით ეკლესიაში.

ამნაირად რაჭის სამღვდელოება ფაქტიურად შეუდგა დღეს თავის მოწოდების საქმეს და მზად არის განაქარვოს ის ცრუ აზრი ახალ მოდის ნასწავლთა, რომელნიც ხორცმეტად სთვლიან თანამედროვე სამღვდელოებას.

სხვაგან რაც უნდათ ის სთქვან, ხოლო ჩვენი ქართველი სამღვდელოება იმ თავითვე სამაგალითო იყო საზოგადო სამსახურის ყოველს სფერაში და ვიმედოვნებთ, რომ იგი არც დღეს უღალატებს იმ ტრადიციებს, რომლებიც გადმოსცემია სახელოვან წინაპართაგან!!

ისეთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო და მქადაგებელთა კომისია, როგორიც რაჭაში დაარსდა დღეს, დაუარსებია შორაპნის სამღვდელოებას. ჩვენი აზრია იაფ-ფასიან წიგნაკების განსახილველად და საბეჭდავათ მთელი სამღვდელოებისათვის დაარსდეს ერთი კომისია, რომელიც განიხილავს სამაზრო კომისიების ნამოქმედარს და შემდეგ გამოსცემს ან გაზეთად-და ან ცალკე წიგნებათ. ეს შეერთებული ძალა აუცილებელი საჭიროა საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის. ამ აზრით გამსჭვალული რაჭის სამღვდელოება, როგორც ერთ უღელ-ქვეშ მყოფი, თანაგრძნობის ხელს უწვდის შორაპნის სამღვდელოებას იმ იმედით და რწმენით, რომ მისთვისაც სასიამოვნო იქნება ერთად მოქმედება ამ ნამდვილ, დროს შესაფერ საქმეში. რაც შეეხება იმ ადგილს, სადაც უნდა იმოქმედოს შეერთებულმა კომისიამ, ამაზედ შემდეგში გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს.

მღ. სიმონ ქელიძე

ჩვენებური ამბები

გორი. 3-ს ოკდომბერს, შუა დღის უკან, ხუთ საათზედ, სკრიდან მომავალი საქონლის მატარებელი № 156-ი, დაუახლოვდა თუ არა გორის სადგურს, ასე 10—15 საჟენით, რელსებიდგან უცებ გადაცვივდა ორ-ორი ორთქლმავალი. რელსები მილეწილია, შპალები ხომ ქუცმაცად ქცეული. მემაშინეს უნდა უმადლოდეს ყველა, თუ უკანა ვაგონები დაჯახებ-დამსხვრევისგან დაიხსნა, რადგან ადრევე დაეალაყებინა, თორემ საქმე უხიფათოდ არ გადარჩებოდა. დამავებით არავინ დაშავებულა, მხოლოდ ორ საათ ნახევრით შეაჩერა მატარებლები, უფრო ქვეიდან მომავალნი. სკრიდან მაშინვე დაიბარეს ორი ორთქლმავალი. ჩამოვიდა, მაგრამ ვაგონები ერთად ვერ დასძრა და ამის გამო თითო-ოროლა ვაგონობით გაანთავისუფლა გზა.

მიზეზად ამ შემთხვევისა გზის ოსტატს (**дорож. мастеръ**) ასახელებენ.

—

ქუთაისი. რამდენსამე დღეს კარგი დარი დაიჭირა და ამ შემთხვევით სარგებლობენ სოფლელები: ეჩქარებიან ყურძნის მოკრეფას და გასასყიდად ჩამოტანას. წლევანდელმა წვიმებმა ძლიერ შეუშალა ხელი ყურძნის დამწიფებას. ამბობენ, ყურძნის მოსავალი კარგი არისო. ქუთაისში მანეთად და ექვს აბაზად კარგს ყურძენს ჰყიდულობენ. თუმცა ფასები კარგი არის, მაგრამ გლეხი-კაცი მაინც მოტყუებულია ყოველთვის თავის უცოდინარობის გამო. სანამდის ყურძენს აუწონიდნენ ქალაქის სასწორზედ, ვალდებული არის, შემოღებულის ჩვეულების ძალით, მიართვას ერთი მოზრდილი გოდორი ყურძენი სასწორის მოიჯარადრეს. მოიჯარადრე ატყუილებს, — ყურძენი მომეცი და კარგად აგიწონავო, მაგრამ აწონავი მაინც უფრო მყიდველისთვის ცდილობს. ამ გარემოებას უნდა მიექციოს ჯეროვანი ყურადღება

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XXV

ფელეტონი

მებრძოლი.

მე არ მაშინებს მტრის რისხვა,
არც მისი ბასრი ხმალია...
ქედს არ მოვიხრი, ვიბრძოლებ,
ვიდრემდის შემწევს ძალია!

—

ის მაღალია, მაღლა სდგას,
მაღლით მიპირებს ქელვასა.
რისხვად მიგზავნის ზევიდან
ჰექა-ქუხილს და ელვასა.

—

არ სდგება, ჰღელავს, ჰბობოქრობს
ვით დიდი ოკეანეა...
მე-კი სხვა იმედს ჩამძახის
ჩემი საკრავი — ქნარია:

—

„ამაყად დასდექ, არ შედრკე,
ვით შვენის გმირთა-გმირსაო,
კაცი ის არის, ვინც უძლებს
ტანჯვას და გასაჭირსაო“.

—

არც მე ვუკრთები ტანჯვასა,
მზადა ვარ საომარადა,
რადგან მოძმენი კვერდსა მყავს
ჩემდა მხნედ და ფარადა,

—

ზურგს არ შევაქცევ ჩემს მტერსა,
გინდ გულში მასვას ისარი...
ბრძოლაში დავლევ სიცოცხლეს,
ჩემი სურვილი ის არი!

გ. შინატეხელი.

—

„აახ ვააახ“!..

(ცოლ-ქმარი)

რომანი

ნაწილი პირველი

—

შესავალი.

რომანია და უშესავლოდ ხომ ვერ დავიწყებ ..

ჩემო ოქროს მკითხველებო, დღეიდან მეც ჩვენის მწერლების ყაიდაზე ვიწყებ მრავალგვარ დარგის მწერლობას, თქვენც, უეჭველია, მომისმენთ, ვითარცა „დიდებულს“ მწერალს; თუ ახლა არა ვარ დიდებული, ხომ „გავდიდებულდები“; დარწმუნებული ვარ, რომ ბრწყინვალე მომავალი მომელის და საქართველოში მეორე აღარ გამოვა ჩემი დარი მწერალი... ისე ვარ დარწმუნებული, როგორც ორჯელ ორი „ხუთია“!..

ჩემის ნაწერების საგანი ცხოვრება იქნება, — ვისი ცხოვრებაც უნდა იყოს, სულ ერთია. მოთხრობებსა და ლექსებში ვეცდები უნაკლულოდ წავბაძო ჩვენთა და სხვათა მწერალთა, განსაკუთრებით სხვათა. თქვენ ხომ არ იცნობთ სხვათა მწერალთ? მაშასადამე, თავისუფლად შემიძლიან იმათგან ვისესხო, ანუ „გადმოვიჩემო“ (ეს მე და შენში დარჩეს) და ისე მოგთავაზო „მარგალიტი და ლალები“!.. ამ სხვათა მწერალთა ნაწარმოებს გმირების სახელებს გამოვუცვლი, მოქმედებას ჩვენს ქვეყანაში გადმოვიტან, ჩვენებურ ტანისამოს ჩავაცმევ, მორჩა და გათავდა!. მაჰმადის წვერსა ვფიცავ, ვეცდები სინამდვილით დავიცვა ჩემი აღთქმა.

მაშ, ჩემო ძვირფასნო მკითხველნო, მე აღვახვევ ბაგეთა ჩემთა, ხოლო თქვენ მოიმარჯვეთ ყურნი სასმენად და განგეღებათ კარი სასუფეველისა!..

I

მზე აცხუნებდა, მთვარე აგრილებდა, ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ნიავი ჰქროდა, ხის ფოთლები შრიალებდნენ.. შრრ.. ბზუუუ... ბლუუუ... და სუნება ცოცხლდებოდა.

II

როცა ვარდი იშლებოდა, ჩემი ლიზა სჭკნდებოდა; იგი ჯერ სულ „ახალგაზრდა“ გასათხოვარი, 39 წლისა გახლდათ. რვა არშიყი გაეცრუებინა, მეცხრეს ეარშიყებოდა და სცდილობდა, „იმ ვიჟს“ მახეში არ გაება „უმანკო ქალი“; საწყალ ქალს „მოსვენებას არ აძლევდნენ“, თითონ-კი ყველას ეკეკიატებოდა, შემირთეთო!..

III

ლიზა გიმნაზიიდანვე გაიწაფა არშიყობაში: სასწავლებლიდან დაბრუნდებოდა თუ არა, მაშინვე ხან მეზობლიანთ მიშას, გიმნაზიელს, ხან „ზევითა“ მდგმურის „პოვერს“, ხან მეთულუხეს შეუთამაშებდა ხოლმე ჟუჟუნა თვალებს, ხან... ერთის სიტყვით, სადაც ვის მოასწრებდა, „ჟენიხათ“ დაიგულებდა.

IV

ლიზა განთქმული ქალი გახლდათ: გაკვეთილებს მშვენივრად „ჰბილავდა“ ხოლმე, ატესტატიც მიიღო და საზოგადოებაში გაერია. კარგა ხანს იცელქა; ვაჟებს ეარშიყა, მაინც ვერ მოიტეხინა. იგრძნო რომ საკმაო განათლება არ მიეღო და ამიტომ ხელი მიჰყო ფრანგულ „სიყვარულის რომანების“ კითხვას. წიგნებს, რასაკვირველია, რუსულად კითხულობდა, ქართული არც-კი მოლანდებია. თუ როდისმე ქართულ წიგნზე ეტყოდნენ რასმეს, იგიც, სხვებიყით, მიუგებდა ხოლმე: „ქართულად **развѣ есть** ინტერესნი რომანები“?!.

V

ბლომა წიგნები წაიკითხა. საოცარი სანახავი იყო ლიზა წიგნების კითხვის დროს; ყოველ „ახალ“ წიგნის წაკითხვაში თავისებურ გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე. რომ გეკითხნათ: რათა კითხულობ მაგ რომანებსაო? გეტყოდათ — განათლებისათვისო.

— განათლება რაღად გინდათ?

ამაზე ვერას გიპასუხებდათ.

მაინც „განათლდა“ და ცხოვრების ტალღებს შეერია. ჰყვანდა მხოლოდ დედა, რომელსაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, როგორც გაუნათლებელ დედაკაცს.

უსუფ-უმუთ-ოღლი

(შემდეგი იქნება)

—

ძველებური იგავი

ერთხელ საქართველოს ურჯულოთა აურაცხელი ჯარი კარს მოადგა.

გამოვიდა ურჯულოთა რაზმიდამ ერთი ძლიერი ფალავანი, მაღალი და შესახედავათ საშიშარი, გულით სურდა ქართველის სახსენებელის მოსპობა. იგინებოდა, ილანძღებოდა და იწვევდა ქართველთა ფალავნებსა: გამოდით, თქვე გიაურებო! თქვენი რაზმიდამ გამოვიდეს ხუთი ფალავანი და, თუ ხუთივენი სათითაოდ დავამარცხე, დაგვნებდითო!..

შეიქნა ქართველებში ჩოჩქოლი: გამოვიდნენ ფალავნები, ურჯულომ ოთხი ზედი-ზედ დაამარცხა.

შედრკა თითქო რკინის გული ქართველისა. ის იყო ზურგი უნდა ექციათ. ამ დროს ანაზღეულად ქართველთა რაზმიდამ ისკუპა ერთმა პატარა ტანის, მაგრამ ჩაკვრივებულმა კაცმა. გაუჩერდა ფალავანს წინ. თვალი თვალში გაუყარა, სახემ შეუთამაშა და ბრძოლის ნდომამ აკანკალა.

ეწყინა ურჯულო ფალავანს, გადგაგანზე და დაუწყო თვალიერება ქართველ ფალავანს.

— არა, მე მაგაზე ხელს არ გავისვრი, სხვა გამოვიდესო! — ყვიროდა ფალავანი

— მე უკან აღარ დავბრუნდები, განზე ნუ გამდგახარ, მოდი და შევებრძოლოთ! — მსურს ჩემს ძალას აღმართი მოვახვენევინოვო.

— აგრე რომ დიდგულობ, რის იმედი გაქვს? — ჰკითხა გაოცებით ურჯულო ფალავანმა.

— შენ თვითონ რის იმედი გაქვს?

ურჯულოთა ფალავანმა დამჯიღა ხელი და უჩვენა:

— აი, მე ჩემი **მუშტის** იმედი მაქვს!

— მე არც შენოდენა ვარ, არც შენოდენი მუშტი მაქვს, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა, მისთვის თავდადებამ სამსონის ძალით აღმჭურვა... ეჰ, რა დროს ბაასია!... მამული მსხვერპლსა მთხოვს.

ეტაკა ქართველი ურჯულოთა ფალავანს მიწაზე წიწილასავით დააწიწკნა, მთლად შეემუსრა, და მტკიცე ხმით ჩაელაპარაკა უსულო გვამსა: ზოგჯერ ძალა აღმართის მხვნელია, და თუ კაცი მამულის სიყვარულით გამსჭვალულა, შენისთანა წუნკალებს არ გაექცევაო.

გერმანე სიკვდილმესპირელი

—

ჩვენებური ამბები.

ს. არკნეთი (ფრონის ხეობა). სოფლებში მამულ-დედულს მარტო თავადები არ პატრონობენ, ბერძნის ბერებიც ბატონობენ. აი, ავიღოთ სოფელ არკნეთი. აქაური ბატონები ჩვენი ხალხის ნაჭირნახულევს ათონის მთაზე გზავნიან. — მათ რა გული დაეწვით ჩვენი გლეხობისათვის.

ამას წინად ბაღში გადახეტებულიყო ორი «ძმა-ბიჭი» გამომთვრალი, ბერძენ მებაღეებს დაეჭირათ და ბოქაულისთვის გარდაეცათ. „სულიერმა“ ბერძნებმა „ძმა-ბიჭებს“ «ბუნტოვშიკები» უწოდეს და, ჰერიგიდი! — ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი...

იქიდანვე. ღმერთმანი, აქაური სკოლა უხეირო საქათმესა ჰგავს: სამი ცამ-

ქალაქის გამგეობისა და პოლიციისა; ამნაირად, მოიჯარადრე მუქთად ართმევს გლეხ-კაცობას რამდენსამე ას ფუთ ყურძენს, ესე იგი რამდენსამე ას მანეთს.

ყურძნის ყიდვა-გაყიდვას უშლის ხელს კიდევ მეორე გარემოება. ყაფნის მოედანთან იმყოფება მრავალი ღვინის „სკლადები“, ამ „სკლადების“ პატრონები ჰყიდულობენ ბლომად ყურძენს დილითვე და მცხოვრებლები-კი ცარიელნი ბრუნდებიან. წესით-კი „სკლადის“ პატრონებს და სხვა ვაჭრებს უფლება ეძლევათ ყიდვისა თორმეტ საათის შემდეგ, მაგრამ ზედამხედველი სად არის?! ძლიერ ბევრი ყურძენი იყიდეს „სკლადების“ პატრონებმა, აქვე თავიანთ საწყობებში სწურავენ და შემდეგ მცხოვრებლებზედ ჰყიდიან მამასისხლად.

X.

ბათუმი. ღამის თავშესაფარის საქმე ბათუმში უსათუოდ უნდა გადაწყდეს და განხორციელდეს, რაც შეიძლება მალე. დღევანდელ თავშესაფარის გაუქმებას აპირებს ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის მფარველობის ქვეშ არის ეს თავშესაფარი. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ბევრი გაჭირებული ადამიანი ახალ თავშესაფარის აშენებამდის გახდება მსხვერპლი—სხვა მიზეზები რომ არ ვიანგარიშოთ—ბათუმის ნესტიანის ნიადაგისა.

1901 წელს თავშესაფარით უსარგებლია 9,606 სულს, რომელთა შორის ბავშვები ყოფილა 42, ქალები კი 26. 1902 წ. უსარგებლია 6305, რომელთა შორის ბავშვები ყოფილა 37, ქალები-კი 51. თავშესაფარი იტევს გაჭირვებით 40 ადამიანს, მაგრამ ხშირად-კი 80—90 სული უსადგურობისა გამო იხუთებოდნენ შიგა. ეს ციფრები მჭერ-მეტყველობით ამტკიცებს, თუ რამდენად საჭიროა ბათუმში ღამის თავშესაფარი და რამდენად ჩქარა უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, ვისაც ჯერ არს. ქალაქის მიერ ასაშენებლად განზრახულ ღამის თავშესაფარის შენობის გეგმა უკვე შეადგინა ერთმა აქაურმა ტეხნიკოსმა. გეგმა მოეწონებია ბათუმის აღმშენებელ კომისიას. რაც უნდა დიდი „თანხა“ ავიღოთ შენობისთვის, რომელიც 210 სულისთვის იკმარებს, 35,000 მ. ეყოფა; მხოლოდ ახლა საქმე ის არის, საიდგან გამოსძებნოს ეს 35,000 მანეთი ქალაქმა. ნაღდად ენახება საქონლის ფუთზე გადასახადიდან შეგროვილი ფული 657,843 მანეთი და 93 კაპეიკი; აქედან ქალაქის წყლის საყვანისათვის არის გადადებული 450 ათასი და ჰაობების დასაშრობლად-კი 217 ათასი. ამ ფულის სარგებელს 4%-ს იღებს ქალაქი. ყოველსავე ეჭვს გარეშეა, რომ წყლისაყვანის გაკეთება და ჰაობების დაშრობა გაგრძელდება არა ნაკლებ 2—3 წლისა; ამ ხნის განმავლობაში პროცენტი შეადგენს არა ნაკლებ 36,000 მან., რომელიც თამამად გაისტუმრებს თავშესაფრის აგების ხარჯსა.

თეოფ. ბესუკიძე.

რუსეთი

საყოველთაო სწავლა რომ შემოიღონ რუსეთში, უნდა დაარსდეს პეტერბურგის გუბერნიაში 325 სკოლა, ნოვგოროდისაში—544, ვოლოგდისაში -1,27, ოლონეცისაში—100, პსკოვისაში—1325, არხანგელსკისაში—252. სულ ექვს გუბერნიაში—4,000 სკოლა. ფული დასჭირდება ამას, იმას გარდა, რაც იხარჯება, კიდევ 1.800,000 მ., დაბალ სკოლების შესაბამად ორ-კლასიანი სკოლებიც უნდა დაარსდეს, რიცხვით 247; ამათ მოუნდება კიდევ 250,000 მ. სულ 2 მილიონზედ ცოტა მეტი მასწავლებელთა დღევანდელი რიცხვი არ იკმარებს და საჭირო იქნება ორის საოსტატო სემინარიის დაარსებაცა. ეს გლეხთათვის და საზოგადოდ სოფლად. ახლა ამ ექვსის გუბერნიის ქალაქებში საჭირო იქნება კიდევ დაარსება 268 სკოლისა. ამას მოუნდება დაახლოვებით 300,000 მან. მაინცა და მაინც დიდი ფული არ არის ეს ფული და შესაძლოა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქში, ესე იგი ზემოხსენებულს 6 გუბერნიაში, ძლიერ არ დააყოვნოს საყოველთაო სწავლების შემოღება.

— ტომსკის უნივერსიტეტს უთხოვნია ხაზინისათვის 945,000 მ. სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის, როგორც წინადაც გვქონდა ეს მოხსენებული.

— საცა სცადა მიწად მოქმედების სამინისტრომ თესვა ოსმალეთის თუთუნისა, ყველგან კარგი მოსავალი მოვიდა. მეტადრე იქ მოვიდა კარგი მოსავალი, საცა პური ვერა ხეირობს.

უცხოეთი

ინგლისი. გლაზგოს შემდეგ ჩემბერლენს ახლა გრინოკში წარმოუთქვამს სიტყვა: მისი სიტყვის მოსასმენად 4,000 კაცს მოუყრია თავი. ინგლისურ გაზეთების სიტყვით, ჩემბერლენი თურმე მეტად ცხარედ ლაპარაკობდა და მსმენელზედ დიდად იმოქმედა.

„ჩვენ გვეუბნებიანო, უთქვამს ჩემბერლენს, —რომ ჩვენი პოლიტიკა უცხოელთა შორის უკმაყოფილებას იწვევსო. გასაკვირველია ეს ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ ვერავინ მოსთხოვს ინგლისს, თავი შესწიროს უცხოელთა კმაყოფილებას. მე პატივსა ვსცემ ამერიკელებს; დიდად ვაფასებ აგრეთვე გერმანელებს, როგორც ერს, რომელიც თავმომწონედ ატრიალებს მეცნიერების დროშას; ფრანგებსაც დიდის პატივისცემით ვუყურებ და მათთან მეგობრობა სასიამოვნოდ მომაჩნია, მაგრამ ეს სახელმწიფოები მთავრობის პოლიტიკას ადგანან. იგინი ხელმძღვანელობენ მთავრობის აზრით თავიანთ ვაჭრობის გასაძლიერებლად და უცხოეთის ვაჭრობის შესაზღუდავად. არ შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ ყველა ეს ქვეყნები სულელურად მოქმედებდნენ და თავიანთთვის საზარალოდ იქცეოდნენ. თითონ მეც დიდი მომხრე ვარ ფრიტრედერთა; მსურს თავისუფლება ვაჭრობისა ყველა ქვეყნებთან, მაგრამ თუ ამ ქვეყნებს არ უნდათ ჩემთან თავისუფლად ივაჭრონ, მაშინ მეც ძალაუნებურად ხელს ავიღებ ფრიტრედერობაზედაო“.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ამერიკის კონკურენციის შესახებ, რომელიც ინგლისის მრეწველობას დამხობას უქადის. ჩემბერლენმა განაგრძო სიტყვა: „გრინოკში შაქრის ქარხნათა უმეტესი ნაწილი ძალაუნებურად უნდა გაუქმებულიყო; ლითონის წარმოებასაც დიდი განსაცდელი მოელის, რიგი ბამბეულობაზედაც მიდგება. არსებული პოლიტიკის შეცვლა სრულიადაც არ გამოიწვევს სადამოუნო ბრძოლას და, კიდეგაც რომ დაიწყოს ეს ბრძოლა, ინგლისს არავითარ ზარალს არ მოუტანს: ინგლისი უდიდესი ბაზარია მთელს ქვეყანაზედ, საუკეთესო კლიენტია უცხოელთათვის და ისინიც მოისწრაფიან ინგლისში თავიანთ საქონლის გასასაღებლად. ახალშენებს რაც შეეხება, მათს განვითარებას საზღვარი არ უძევს; არაა ისეთი საქონელი, რომელიც ინგლისისათვის საჭირო იყოს და ახალშენებიდან ვერ შემოიტანოს. აგრეთვე არაა ისეთი საქონელი, რომელსაც გაჰყიდდეს ინგლისი და რომელსაც ახალშენები ვერ იყიდნენ.

ინგლისის განმარტოება, რომელიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მთავრობის სისტემის მიღებას, დიდად სასარგებლო მარტოობა იქმნებოდა, თუ ინგლისს თავისი ახალშენები სიყვარულით მოეპყრობოდნენ და მხარს დაუჭერდნენ. ეხლა უნდა გადასწყდეს ქვეყნის ბედი და უბედობა; ამაზეა დამოკიდებული მთელის ინგლისის მომავალი“. ეს სიტყვა ჩემბერლენმა იმ დროში წარმოსთქვა, სადაც ამ ჟამად საშინელი კრიზისია და, რასაკვირველია, მისი სიტყვები ღრმად ჩასწვდათ გულში მსმენელთ.

ფრიტრედერებიც შეუდგნენ თავიანთ სასარგებლო პროპაგანდას. ლიბერალურ გაზ. «დეილი ნიუსში» ლიბერალთა დასის მეთაური კემპბელ-ბანერმანი შეუდგა წერილების წერას და კრიტიკულად არჩევს ჩემბერლენის რჩევას. ჩემბერლენის მიერ პირველად წარმოთქმულ სიტყვის შესახებ ბანერმანი შენიშნავს, —ინგლისის ვაჭრობის დაცემის შესახებ ჩემბერლენის მიერ ატეხილი აღიაქოთი მეტად გადაჭარბებულია და გაფრთხილება ამერიკის დანაწილების შესახებ ფანტაზიააო. ჩემბერლენის წინასწარმეტყველობას ინგლისის ვაჭრობის დამხობის შესახებ საბუთები აქარწყლებსო. ბანერმანის აზრით, —საჭიროა ახალშენებთან ტრადიციით მოსული პოლიტიკის, მეგობრულ კავშირისა და არსებულ თავისუფლების დაცვაო. ჩემბერლენს უნდა შაქარზედ და ჩაიზედ ბაჟის შემცირებით შეუმსუბუქოს ინგლისელ მოხარკეთ ტვირთი, რომელიც სავაჭრო პოლიტიკის შეცვლის შემდეგ დააწვებათ კისერზედ.

ბანერმანი შენიშნავს: «ეს შემცირება ბაჟისა უეჭველია უნდა მოეხდინათ, რადგან ამ სასმელზედ ომის დროს დიდი ბაჟი დაადეს და მშვიდობიანობის დროს მისი შეუმცირებლობა შეუძლებელიაო.

ნარკვევი

თავადი მეშჩერსკი ამბობს, რომ დავბრუნდი სამშობლო ქვეყანაში და ათასი ხმა ისმის გარშემო, ეს აქ დაინიშნება და გამწესდება, ამას იქ გადიყვანენ, აქ ეს რეფორმა უნდა შემოიღონო და სხვ.

ფინანსთა სამინისტროს რეფორმის გარდა, ხმა ისმის

ვაჭრობისა და მრეწველობის მთავარსამმართველოს რეფორმისა. ეს მთავარსამმართველო ცალკე სამინისტროდ უნდათ გადააკეთონ. ხმა ისმის აგრეთვე, რომ ყველა სასწავლებელი ფინანსთა სამინისტროსი უნდა გადავიდეს განათლების სამინისტროს უწყებაში. ხმა ისმის, რომ ცალკე სამინისტრო უნდა დაწესდეს ფოსტისა და ტელეგრაფისა. ხმა ისმის, რომ სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკი უნდა გადავიდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობაში.

თავადი წინააღმდეგია, რომ ფინანსთა სამინისტროს ჩამოერთვას სპეციალი სასწავლებლები.

ამბობენ, რომ ფინანსთა სამინისტრო მეტსა ჰხარჯავს თავის სკოლებზე, ვიდრე სხვა სკოლებზეო. მერე რა არის აქ ცუდი? ჩვენი სწავლა-განათლება ისე მცირეა, რომ ყოველის ღონისძიებით უნდა ვისარგებლოთ, რომ მით რომელიმე დარგი განათლებისა მაინც გავაძლიეროთ და განვავრცოთ. განა ტეხნოლოგიური ინსტიტუტი გაუმჯობესდა, რომ ფინანსთა სამინისტროს ჩამოერთვა და სახალხო განათლების სამინისტროს გარდაეცა? მერე სად უფრო უწესოება: საერო განათლების უმაღლეს სასწავლებლებში, თუ სპეციალურში. რასაკვირველია, საერო განათლების სამინისტროსაში?

ამავე საგანს ეხება „საბანკო და სავაჭრო გაზეთი“ და სამართლიანად ამბობს, რომ რეფორმა მხოლოდ მაშინ არის სასურველი, როცა განკარგება მოჰყვება საქმესა და არა გაუარესებაო. ამაზედ ადვილი მისახვედრი რა უნდა იყოსო.

ვინც უნდა განაგებდეს საკომერციო განათლების საქმეს, პირველი ის არის, რომ წვრილმან რეგლამენტაციას ადგილი არა ჰქონდეს, თავისუფლება ჰქონდეს სასწავლებელს, პროგრამა ისე შეადგინოს, როგორც მოითხოვს ადგილობრივი ვითარება, სავაჭრო ორგანიზაციები დაუმოკიდებლად ჰმოქმედებდნენ და მათი თაოსნობა შეხუთული არ იყოს. ფინანსთა სამინისტრო სწორედ ასე იქცეოდა, რუტინას არ ეძლეოდა, სხვა-და-სხვა საჭიროთ მოსაზრებას ყურს არ უგდებდა.

გაზეთის აზრით, თუ განზრახული რეფორმა განხორციელდება, საკომერციო განათლება გაჭირდება, დაიღუპება.

თეატრი და ხელოვნება

რუსული ოპერა. ცეცხლივით აგზნებული და საკადულივით მჩქეფარე მუსიკა „კარმენისა“ დამატყვევებელია კაცის სმენისა პირველსავე სიმებზედ ხელის ჩამოკვრისათანავე. ცვალებადი, ჟინიანი ბუნება კარმენისა, რომელიც აღიარებს სრულს თავისუფლებას სიყვარულის სამფლობელოში, ცხოველ-მყოფელად გამოითქმის ბიზეს მუსიკით. ეს ოპერა ყოველთვის იზიდავს თავისკენ საზოგადოებას და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვარ, რად დაესწრო ასე მცირე ხალხი გუშინწინდელ წარმოდგენას...

ყველაზედ გამარჯვებული გუშინ-წინდელ წარმოდგენაში ისევ ბ-ნი ესპოზიტო იყო. საკვირველის მეტყველებით აღნიშნა ორკესტრის საგულისხმო ადგილები და განსაკუთრებით დრამატიული მომენტები, მაგალითად ის ადგილი, როდესაც კარმენი ქაღალდსა ჰშლის და უკანასკნელი წამი ოპერისა კარმენის მოკვლის წინ. რაღა თქმა უნდა ჰანგ-ნარნარი შესავალი მეოთხე მოქმედებისა გამეორებულ იქმნა. ესპოზიტოს ლოტბარობით მოქმედ ორკესტრს რომ ყურს ვუგდებდით, ჩვენს თვალში მთლად ქარწყლდებოდა ის აზრი, ვითომც კარმენის მუსიკა მსუბუქ ფრთიანი, არა სერიოზული იყოს. კარმენში ტკბილ და მმოძრავ ჰანგებთან ერთად არის საშინელის დრამატიზმით გამსჭვალული ადგილები.

ქ-ნი კარრი (კარმენი) დახელოვნებული მომღერალია და კოხტა, მოხდენილი კარმენი იყო. კარგ სიმღერას, ფიცხელ მოძრაობასთან ერთად, ქ-ნ კარრის აკლდა მხოლოდ სახის

ტვრეული სკამი, მინგრეულ-მონგრეული ოთახი, დიაკვანი მასწავლებელი და მოძღვარი გამგებელი, რომელმაც არც ქართული იცის, არც რუსული და არც ოსური.

მაშ, როგორ ასწავლის ან-ბანს და ან რა ენაზე ლოცულობს?

ამის გამოცნობა თქვენთვის მომინდვია და მე-კი—«კლაფი-კლუფი»!..

რებუსი.

რაჭა. გავიგე, რაღაც შურდულის რედაქცია იმყოფებაო, მეც მინდა რაჭიდამ ერთი კორესპონდენცია ვისროლო, ვშიშობ-კი მევე არ მესროლოს „შურდულმა“, მაგრამ დარწმუნებული ვარ „შურდული“ ჩემიერ დასახელებულ რაინდს თვით მიაყოლებს მწარე შურდულს.

ყველას კარგად მოგეხსენება, ჩვენი მიყრუებული რაჭა მშვიდობიანობის მხრით ერთ დროს ძალიან საქები იყო. ეხლა? ეხლა-კი ბლომადა გვყავს საშურდულე ლხინიკო-უქმაძეები: ამ ოთხი ხუთის დღის წინად, დაბა ონს ახლო, ერთ სოფელში, ერთმა ლხინიკო უქმაძემ იძრო თავის სანაქებო ხმალი (როგორც თითონ ამბობდა ლხინიკო-უქმაძე, ჩემი ხმალი დავით სოსლანის ნაქონიაო) და მასთან მოქეიფე ამხანაგს ცალი ხელი სულ მოსჭრა, მეორე ხელზე ორი თითი წააცალა და ფეხშიაც დასჭრა. თუ არ დავით სოსლანის ნაქონი ხმალი, სხვა ამოდენა უნარს ვერ იზამდა.

ჩვენი ლხინიკო-უქმაძე მეორე დღეს ვირის აბანოში ბუზებს სთვლიდა. ამბობენ, მთავრობა ჰპირდება გზის ხარჯს არ გადაგახდევინებთ, ისე გაგზავნით მანჯურიაშიო.

სხვა ჩვენი ლხინიკო-უქმაძეები ახლა ჰმართავენ კანტორას. ვისაც სურს მანჯურიაში წასვლა, ან კანტორას მიჰმართოს.

ვანო კესარიაშვილი.

შურდულს.

სალამი შენდა, შურდულო,
შენს ზუზუნს ვენაცვალები,
ავი და კარგის საცნობლად
გამჭრიახი გაქვს თვალები,
ქვეყნის ორგულსა შეები,
მტერსაც არ დაემალები...

ჭირიმე მისი მარჯვენის,
ვინც ღირსეულად გატარის,
წინ წაიძღვარის სიმართლე,
მისთვისვე ცრემლი დაღვარის,
დუშმანსა გული მოუკლას
და მოყვარე-კი ახაროს.

შურდულო, ჩემო შურდულო!
მიყვარს ეგ შენი ზუზუნი,
მტრისთვის გასწყვლებ საზარლად,
მოყვრისთვის გაგაქვს დუდუნი,
გულს ვერ გიტეხავს ვერაგთა
შხამ-გესლიანი ღუღუნი.

ჭირიმე შენი, შურდულო!
მსურს კვალად მოგესალმო:
შენ ხარ დამწვარის გულისა
განმკურნებელი მალამო!
სთქვი, რაც ცხოვრებამ შთაგბეროს,
გულში ნურაფერს ჰმალამო;
ბანი მიეცი შეწყობით
შენც, ჩემო სუსტო კალამო.

**

---

*
* *

(ვუძღვნი ს. მ—შვილს).

რაც ჩემია, ჩემთვის მინდა,
ძალით არვის დავანებებ;
მტერი რასაც მე დამიშლის,
იმას უფრო გავაკეთებ.

კარგად ვიცი, ჩემი ძმა ხარ,
მრწამს და კიდეც გადვიარებ;
არ მიმტყუნო, არ გიმტყუნებ,
ამას აღარ დაგავალებ.

მე ძმობაში მტკიცე ვიყავ,
უზაბავო, შეუდრეკელი.
ეხლაც ის ვარ, დამერწმუნე,
ვერ შემარყევს ქვეყნის მცველი.

მამა ჩემსა მამაშენის
მოშორება აღარ სურდა..
შვილნი იყვნენ ერთის მამის,
დამტკიცება აღარ უნდა.

მოიგონე ჩვენი ძველნი...
თუ გინდ ცოტნე დადიანი..
მე მისი ვარ მკვიდრი შვილი,
მისებრ მტკიცე, მადლიანი...

შენი ლხინი ლხინადა მიჩნს,
გულს მიხეთქავს შენი დარდი...
მტრის „ბლომანჟეს“ მირჩევნია
ჩემის ძმისა ცივი მჭადი.

კორტოხა

ნარევ-ნაკვეს-გასართობი
ისრების ზუზუნი

ცოლ-ქმარს შორის

(ნამდვილი ამბავი)

მანანა, შუახნის ქმრიანი ქართველი ქალი, უშვილო, აკვანში აწვენს თავისის დის ძუძუმწოვარს ბავშვს და ტკბილად ეალერსება.

ქმარი მისი, პეტრე, კოხტა-პრუწა იმერელი, უცქერის თავისს ცოლსა და ეუბნება, რა ნაირად გიხდება, მანანოჯან, ბავშვის ალერსი და მოვლა; მაგრამ ბალა ეს არის, რომ საკუთარის შვილის შთო და ლაზათი არა გაქვს.

— ღმერთია მოწამე, რომ შნოცა მაქვს და ლაზათიც; მაგრამ რა ვქნა, რომ ჩემი პეტრიკელა მეტად ჩათლახი ქმარი გამიდგა, — სტუჩრცნა ცოლმა ქმარს.

— ზოგი სხვებსა ჰკითხე: თალიკოები, მარიკოები, დარიკოები სულ ჩემ ვაჟ-კაცობის ქებაში არიან, — უპასუხა პეტრიკელამ და ულვაშებზე ხელი გადისვა თავ-მოწონებით.

— „ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო“, მოუჭრა სიტყვა ქმარს ცოლმა.

ელი.

ბაქო-ბალახანის ცხელ-ცხელი ამბავი.

„ვაი, ჩვენი ქონება
რა რიგად იღუპება!...
ნავთი აღარ სადდება
ცეცხლიც ჩვენ გვეკიდება.
გვეწვის შადრევანები,
იწვის ჩვენი «ვიშკები»—
ვაი... ამის... მომსწრესა...
ქრება მილიონები!..
თუ ღმერთი გწამთ, გვიშველეთ,
შეისმინეთ ვედრება,
თორემ ჩვენი ღაღუპვით
ხდება ქვეყნიერებაა!..
ამას გაიძახიან
დღეს აქ თითქმის ყველანი,
მაგრამ ვერას-კი ჰშველის
იმათ ჩვენი ლოცვა [1])!..

ცოცხი.

მორჩილება რა კარგია!

(ძველი თქმულება)

ორი მგზავრი თურმე მიდიოდა გზად. იალაღზედ დაინახეს ორი ვირი. ერთი მგზავრი გაექანა და პირველს ვირს მოაჯდა ზურგზე. ვირი წყნარი ხასიათისა იყო, არ იუარა და ზედ შეირჩინა მგზავრი.

მეორე მგზავრმაც მოიწადინა შემჯდარიყო მეორე ვირზე; მაგრამ ამან კაი-კაი ტლინკები ჰკრა და მიწაზე დასცა. ხელ-ახლა მოინდომა შეჯდომა, მაგრამ ისევ ის დღე დააყენა.

ამხანაგმა დაუძახა: დაანებე თავი მაგ უზრდელს ვირსა, აქ მოდი და უკან შემომიჯექი; ეს მეტად წყნარი ვირია და ორივეს სიამოვნებით გვზიდავსო.

მორჩილმა ვირმა მეორე მგზავრიც წყნარად შეისვა ზურგზე, თუმცა ძალზე-კი ჩაიზნიქა.

მერმე რა მოხდა?

წყნარს და მორჩილს ვირს წელი ჩასწყდა, დაეცა ძირსა და სული დალია.

ურჩი ვირი-კი დღესაც თურმე იალაღზედ თავისუფლად დაიარება და სიცოცხლით სტკბება.

ელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო «შურდულის» რედაქტორო! მიჰმადლეთ თქვენს გაჩენს! მიმიღეთ თქვენს ფართო მოედანზედ და გაუკრიბინებთ ჩემის შგლავის ძალს.

თუ ნებას დამრთავთ, პირველ გასროლიდ ქვას სახელოსნო გამგეობასა ვტყორცნი თავში. და ვტყორცნი იმიტომ რომ 66 ძაღლის თავი თავის კუდის კუდებით იქა მარხია. დღითი დღე იხრწნება და იბილწება ამოდენა უდანაშაულო ხელოსნობაო. ჩემი ასპარეზობა დაიწყობა ნაშუადღევის ორ საათიდან, რადგან კარგად ვიცი, რომ ამათი მმართველი მანამდე სადარბაზოდ დაბძანდება და სწორედ ამ დროს შედის გამგეობაში ... ისიც ნახევარ საათით.

ეს სიკეთე მიავეთ და მერე მიუგეთ, მათი ჩაობებული ამბები როგორ ავაბორიალოთ.

ოს ბალათარი.

„შურდულის“ ფოსტა

ქ. პეტროვსკი. ბ. ც—ძეს. თქვენი წერილი პეტროვსკიდამ დაიბეჭდა „ივერიის“ № 181-ში; დეპეშები—№ 191-ში, ორივე „შურდულში“); სამწუხაროდ, ეს ნომრები რედაქციაში აღარ არის, ამიტომ ვერ გიგზავნით და მით სურვილს ვერ გისრულებთ.

„შურდულის“ რედაქციის განცხადება

რადგანაც ქარიშხალმა ტელეგრაფის ბოძები წააქცია და მართულები დაწყვიტა, ამიტომ „შურდულის“ დეპეშათა სააგენტომ დეპეშები ვერ მოგვაწოდა. რედაქცია ბოდიშს იხდის თავის მკითხველებთან.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე

---

[1] *) ბ-ნმა ლორანმა მოიგონა ახლახან ერთნაირი ცეცხლის საქრობი სითხე, მაგრამ ჯერჯერობით დიდი სარგებლობა არ მოუტანია: მეტად „თხელი“ გამოდგა. ცოცხი.

ცვალბადი მეტყველება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ადგილები, სადაც ბედისწერის მორწმუნე კარმენი სიკვდილზედ ფიქრობს, შეხამებულის სულის კვეთებით გამოხატა, რადგანაც დაბალ ფარდებში ხმა მომღერალ ქალისა მკვეთრია, ბოხი და ძლიერი. საერთოდ-კი ქ-ნ კარრის აკლდა სიმკვირცხლე და სინარნარე.

ბ-ნი დარსკი (დონ-ხოზე) ადგილ-ადგილ დიდის გრძნობა-მეტყველებით მღეროდა, მაგალითად პირველ მოქმედების დუეტში მიკაელასთან და მეორე მოქმედების არიოზოში, როცა კარმენს ვარდს უჩვენებს. მედგარ ადგილებში თუმცა სრულს კილოზე იყო, მაგრამ მის ხმას ძლიერება აკლდა. თამაშობს ბ-ნი დარსკი დონ-ხოზეს როლს ზომიერის დრამატიზმით და შესაფერი მიხვრა-მოხვრა აქვს.

ქ-ნ კარტავინას, როგორც სიმღერაში, აგრეთვე გარეგნულ თამაშობაში აკლდა მიკაელას სინაზე და ჰაეროვნება. ვერას გზით ვერ შევთვისებივართ მის მძაფრ, უსევდო ხმას, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ძალიან მოუხდენელი და სუსტი იყო ბ-ნი ამირჯანი ვაჟკაცობით მომხიბლავ ტორეადორის როლში.

ოპერა კარგად არის მოწყობილი.

სასამართლოს მატიანე

ფოთის ხაზინის გაძარცვა.

კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო 3 ოკდომბერს ქ. ქუთაისში შეუდგა განხილვას ფოთის ხაზინის გაძარცვის საქმისას.

საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს შემდეგი: 1902 წ. 20 დეკემბერს, შუადღისას, როდესაც ყველა დაწესებულებაში ჩვეულებრივი მუშაობაა, ქ. ფოთის ხაზინაში შეცვივდნენ ექვსი კაცი, თოფებითა (ბერდანის სისტემისა) და რევოლვერებით შეიარაღებულნი, ხოლო მეშვიდე ამხანაგი გაჩერდა შესავალ კარებში. ხაზინაში, მოხელეთა გარდა, 15—20 გარეშე კაციც იყო. შესვლისთანავე ერთმა შეიარაღებულთაგანმა შეუყვირა იქ მყოფთ: გაჩერდით, დაწექითო. და დაიწყო თოფის სროლა ჭერში. თავ-ზარ-დაცემულნი იქ მყოფნი გაშეშმიმდნენ, განაბეს სული, გაჩერდნენ ერთ ადგილას გაუნძრევლად; ზოგი მათგანი შიშისაგან პირქვე წაწვა იატაკზედ. ეს ამბავი მოხდა ხაზინის უმთავრესს ოთახში. კანცელარიის მოხელენი, რომელნიც სხვა ოთახში მუშაობდნენ, მთლად დაიბნენ, დაფაცურდნენ თავის საშველად, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ გარედ გამოსასვლელად, მაგრამ ამაოდ,—გზა ხსნისა ვერ იპოვეს. ამის გამო ზოგი მათგანი საკარძლის ქვეშ შეძვრა, ზოგი ფანჯარაზე შეხტა, ზოგმა კარებისაკენ მიაშურა, მაგრამ საშველი არსაით იყო. ბოლოს გამოამტვრიეს ფანჯარა ეზოსკენ და იქიდან იწყეს გადახტომა.

ავაზაკებმა გადაამტვრიეს ხაზინის უმთავრეს ოთახში გამართული მოაჯირი, მისცვივდნენ ხაზინადარ ვართაპეტოვს, გამოჰგლიჯეს ხელიდან გასაღებები, გააღეს მეორე ოთახში მუჯლუგუნების ცემით, გააღეს ხაზინის ყუთი, ამოიღეს რაც შიგ ფული იყო, მოუბრუნდნენ მაგიდას, მოხვეტეს, რაც მაზედ ფული იწყო, დაითითოვეს ფულით სავსე პარკები და ამ რიგად მოიტაცეს სულ 30,810 მან. 48 კ. ამავე დროს ზოგიერთი ყაჩაღთაგანი იქ დამსწრე ხალხს უცადიერებდა ჯიბეს, მაგალ., ერთმა მათგანმა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს, ხოშტარიას, ამოაცალა ჯიბიდან ქისა, რომელშიაც ორი მანათი ჰქონდა, მეორემ კარანტინის თარჯიმანს, აფენდულოვს, ამოაცალა 50 მან. ყოველივე ეს სწრაფად მოჰხდა, ხუთის წუთის განმავლობაში. ამ დროს განუწყვეტელი თოფის სროლა ისმოდა ხაზინაში.

გაძარცვეს რა ხაზინა, ყაჩაღები გაუდგნენ გზას და თან თოფებს სცზიდნენ.

თოფის ხმაზედ მოცვივდნენ პოლიციის დარაჯები, რომელნიც იქვე მეზობლად სცხოვრობენ, სახელდობრ ოსიპოვი და კაჭარავა, ამოეფარნენ ხაზინის კედელს და აივანს და დაუწყეს მიმავალ ყაჩაღებს რევოლვერების სროლა. ერთი მათგანი დასჭრეს კიდეც გულში, მეორე—ფეხში. ერთი ყაჩაღთაგანი, რა შენიშნა, რომ მისი ამხანაგი დაიჭრა, მოუბრუნდა და გამოსტაცა ბერდანკა. გულში დაჭრილი ყაჩაღი, კაჩარავას სიტყვით, შეეხვეწა თავისს ამხანაგს: „მომკალი, ბოლო მომიღე, ცოცხალს ნუღარ დამტოვებო“. ამხანაგმაც აასრულა თხოვნა, თოფი დასცა და ბოლო მოუღო.

შემდეგ ამისა ყაჩაღები არხეინად გაუდგნენ გზას, გავიდნენ, „პარკისაკენ“ და იქიდგან პალეოსტომის ტბისაკენ, რომელიც მდებარეობს ქ. ფოთის ახლოს, ოზურგეთის მაზრის მიჯნაზედ. თუმცა ამ გარემოებამ მრავალის ხალხის ყურადღება მიიპყრო, თუმცა მრავლად შეიყარა იქ ხალხი, მაგრამ ვერავინ გაბედა ყაჩაღებს დასდევნებოდა. («ტფ. ფურც.»)

„ივერიის“ ფოსტა

ქუთაისი. ნატუსაღარს. თქვენი „ხმა ციხიდან“ არ დაიბეჭდება.

დუშეთი. მ. დ. მ—ლს. თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებთ და არც შესასრულებელია.

ბათუმს. თ. ბეს—ძეს. თქვენმა წერილმა დაიგვიანა და იმიტომ ველარ დავბეჭდეთ. ამოვკრებთ ზოგიერთს ცნობას. ველით დაპირებულს. მხოლოდ ცოტა მოკლედ იყოს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ოკდომბერი.

ტოკიო. გაავრცელეს ასადელვებელი ხმები, მაგრამ ეს ხმები გადამეტებულია. გარეშე საქმეთა სამინისტროს თხოვნისა გამო იაპონიის პრესა არა მსჯელობს საქმეთა აწმდგომ მდგომარეობაზე. 2 ოკდომბერს იყო ბჭობა მინისტრ-პრეზიდენტისა, ზღვათა, სამხედროსი, გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებისა. საქმის მცოდნენი იმ აზრისანი არიან, რომ იაპონია უსათუოდ მოითხოვს, რათა რუსეთმა თვისნი აღთქმანი შეასრულოს; ბჭობის დროს გადასწყვიტეს, იაპონია არას გზით არ იზამს, რუსეთმა ისე იმოქმედოს, რომ კორეას დამოუკიდებლობას რაიმე ვნება მიეცესო.

სოფია. სარაფოვის სიკვდილზე აქ არაფერი არ ისმის.

ბელგრადი. დეკემბრის პირველ რიცხვებში მეფე პეტრე ვენასა და ბერლინში წავა.

პარიჟი. იტალიის მეფე-დედოფალი და პრეზიდენტი ლუბე ოპერაში ბრძანდებოდნენ.

პეკინი. ბალის დროს ინგლისის მისიაში მოინდომეს აეფეთქებინათ სახლი, რომელშიაც მისიის დასაცველად არის შენახული ასაფეთქებელი ნივთიერებანი. მავთულები შაეერთებინათ ელექტრონის ბატარეასთან, მაგრამ რადაც უცნაურ მიზეზის გამო აფეთქება არ მოჰხდა.

გროდნო. ხელმწიფე იმპერატორმა უმადლესად უბოძა ათასი მანეთი, რომ დაურიგონ უღარიბესს მცხოვრებლებს ბელოვეჟის მიდამოებში.

ტიხვინი. ერობა აპირებს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში დააარსონ მედიცინური ფაკულტეტი.

4 ოკდომბერი.

როსტოვი-დონისა. ქალაქის თავი იუწყება 26 სეკდემბრის თარიღით, სწორე არ არის ცნობა იმ ამბისა, რომ მე თავს დამეცნენ ქუჩაში და არც ამის საბაბია სიმართლით აღნიშნულიო. მდივნისა და ეგზეკუტორის წყალობით, რომელნიც მაშინ იქ იყვნენ, თავს დამსხმელმა ვერა მოახერხა-რა. პროკურორმა თავს-დამსხმელი პასუხის გებაში მისცა.

ელაბუღა. ივანე პეტრეს ძემ უშკოვმა შესწირა ერობას ხუთი შენობა სასწავლებლისა მთლად მოწყობილობითურთ.

ბორისოგლებსკი. ერობამ უარ-ჰყო პრინციპი წოდებათა გაერთიანებისა, შეიწყნარა ნორმად საარჩევნო ცენზისა 76 დესეტინა, გამოსთქვა სურვილი, რომ ქალებსაც მიეცეთ უფლება არჩევანებისა.

სოფია. 3 ოკდომბერს ოსმალეთის კომისარმა ფერუხ-ბეიმ ბოდიში მოიხადა ყარამანიცას ინციდენტის გამო და სთქვა, რომ დამნაშავენი დასჯილ იქმნენო. ის ბატალიონი, რომელიც ბულგარიის მიწა-წყალზე გადმოვიდა, შორს იქმნა გადაყვანილიო.—ბულგარიის მთავარმა გაჰგზავნა თვისი მდივანი, შეჰკრიბე ცნობანი ტირნოვოში მომხდარ ამბავთა შესახებო. იქ სტამბულოვის მომხრენი დასცემიან მოქალაქეთა და ზოგიერთი დაუჭრიათო.

პეტერბურგის ბირჟა 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,62^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5—6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	446 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$336^1/_2$ წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	285 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
$4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$91^3/_4$ გაყ.
6% ქუთ. სა[illegible] მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$91^1/_4$
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9450 გაყ.
აქციები. „ „ „	—
„კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	380 მც. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	193 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185 წვრ. მყიდ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომსს; 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ილგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ი. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

განცხადებანი

იაფ-ფასიანი ქართული სამკითხველოები

„ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებისა“

პირველი იმყოფება თავად-აზნაურობის ქარვასლაში, № 98.

მეორე—ვერაზედ, ოლგინის ქუჩ., № 22.

სამკითხველო ღიაა ყოველ დღე, დილით 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათ.

კვირა-უქმეობით 11—1 საათამდე.

სამკითხველოში მოიპოვება, გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალებიც.

(5—უ—2)

ამერიკის ვაზის პიტომნიკი

ს. კარალეთი, გორის მაზრა, 7 ვერსზედ გორიდან, თ-დ მიხეილ რევაზის-ძე ერისთავის მამულში ისყიდება ერთის წლის ნამყენი ამერიკის ვაზზედ, რუპესტრის მონტიკულაზედ, კახური ჯიშები—რქა-წითელი და საფერავი.

1000 ძირი—80 მანათი.

სანამყნე ფესვიანი ამერიკის ვაზი რუპესტრის მონტიკულა

1000 ძირი—20 მანათი

(4—28—2)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ლედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების ზენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოსთან (მუხრანის ქუჩა) დაწესდა ტფილისის ბებიათა საურთიერთო დამხმარებელ **საზოგადოების** მიერ მორიგობა ბებიებისა, რათა ყოველ ჟამს, დღისით თუ ღამე, მშობიარეთა და ორსულთ **ხელი** შეუწყონ. რჩევისათვის და პირველ დახმარებისათვის 1 მანეთი უნდა შეიტანონ. ეს ფული აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოდ კასსაში ჩაითვლება; ამასთანავე მორიგობა დააწესა საზოგადოებამ ოლგას სახელობის ბებიათა ინსტიტუტთან. (3—უ—3)

„GRAND PRIX“
PARIS 1900

Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°
„Золотой Ирисъ“

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ **ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი!** U. 111, an das
Annoncen-Bureau des Merkur
in Mannheim Meerfeldstrasse, 44
(50—31)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებ. კარის ვაჭარი,

Pasta Eugènie სატხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან აღანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქეს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლეს და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugènie თეთრი, ვარდის ფერიდა რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწმენდად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. სნაზს სირბილეს და მარმარილოს მგვანს სისუფთავეს. აქრობს მზისგან აღანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის სატხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სალებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჟანგის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფელ ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст“.-იდან, № 233 1901 წ. (80—34)

კოკორი ანუ ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი,

სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია. ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი.

(6—6—6)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურ.-ისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 4 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ვ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.